დამტკიცებულია სსიპ საქართველოს შოთა
რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო
უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს
06.07.2010 წლის №46 სხდომის დადგენილებით

სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ შენობებში წესრიგის დაცვის შესახებ დისციპლინური პასუხიმგებლობის ნორმები

§1. რეგულირების სფერო

(1) სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ შენობებში წესრიგის დაცვის შესახებ დისციპლინური პასუხიმგებლობის ნორმები (შემდეგში: დისციპლინური პასუხიმგებლობის ნორმები) აწესრიგებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ შენობებში წესრიგის დაცვას.

(2) დისციპლინური პასუხიმგებლობის ნორმები ვრცელდება როგორც უნივერსიტეტის აკადემიურ, ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალზე, სტუდენტებზე და სხვა ნებიმიერ პირზე, ვინც იმყოფება უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში, მიუხედავად დაკავებული თანამდებობისა თუ სოციალური სტატუსისა.

(3) დისციპლინური პასუხიმგებლობის ნორმების დარღვევა იწვევს დამრღვევის მატერიალურ პასუხიმგებლობას.

§2. მიზანი

დისციპლინური პასუხიმგებლობის ნორმების მიზანია:

1. უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ შენობებში წესრიგის დაცვა;
2. უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა;
3. ადამიანის ჯანმრთელობის დაცვა და პატივისცემა.

§3. პასუხიმგებლობის გამოყენება

დისციპლინური პასუხიმგებლობის ნორმები გამოიყენება დამრღვევის მიმართ, მიუხედავად დარღვევის სამუშაო სთ-ებში თუ მის შემდეგ ჩადენისა.

§4. დისციპლინური პასუხიმგებლობის დაწესება

(1) დისციპლინური პასუხისმგებლობა წესდება უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ შენობებში თამბქოს მოწევის, ალკოჰოლური ნივთიერების მიღების ან/და მათი ზემოქმედების ქვეშ ყოფნაზე და შენობის დანაგვიანებაზე.

(2) თამბქოს მოწევის, ალკოჰოლური ნივთიერების მიღების ან/და მათი ზემოქმედების ქვეშ ყოფნისა და შენობის დანაგვიანებაზე დაწესებულია ფულადი ჯარიმა.

(3) ფსიქოტროპული, ნარკოტიკული ან სხვა ძლიერმოქმედი ნივთიერების მიღების ან/და მათი ზემოქმედების ქვეშ ყოფნისას, დამრღვევი გადაეცემა სამართალდამცავ ორგანოებს.

§5. თამბაქოს მოწევის წესების დარღვევა

(1) უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ შენობებში თამბქოს მოწევა დაშვებულია ამისათვის საგანგებოდ გამოყოფილ ადგილებზე, სადაც მითითებულია: „მოწევა ნებადართულია“ ან „მოსაწევი ადგილი“. მსგავსი წარწერის არარსებობისას, მიიჩნევა რომ მოწევა აკრძალულია.

(2) თამბაქოს მოსაწევად ნებადართულ ადგილებს ადგენს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ბრძანებით.

(3) დაუშვებელია თამბაქოს მოწევა სასწავლო აუდიტორიაში, გარდა იმ შემთხვევისა, თუ თამბაქოს მოწევა ხდება კინოგადაღების ან შესაბამისი სცენარის შემადგენელი ნაწილი, რაზეც შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის მიერ 3 სამუშაო დღით ადრე წერილობით უნდა გაფრთხილდეს დაცვის სამსახური.

(4) თამბაქოს მოწევა დაშვებულია უნივერსიტეტის თანამშრომლის სამუშაო კაბინეტში შესაბამისი პირის (ვისაც ეკუთვნის სამუშაო კაბინეტი) ნებართვით, თუ თამბაქოს მოწევას არ ეწინააღმდეგება სამუშაო კაბინეტში მყოფი სხვა პირი. წინააღმდეგობის არსებობისას, თამბაქოს მოწევის მსურველი ვალდებულია მოსაწევად გავიდეს თამბქოს მოსაწევად გამოყოფილ ადგილზე.

(5) უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში თამბქოს მოწევის წესების დარღვევა, იწვევს დამრღვევის დაჯარიმებას 5 ლარის ოდენობით.

(6) უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში თამბქოს მოწევის წესების დარღვევა განმეორებით, იწვევს დამრღვევის დაჯარიმებას 50 ლარის ოდენობით.

§6. ალკოჰოლური ნივთიერების მიღება ან/და მათი ზემოქმედების ქვეშ ყოფნა

(1) უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში აკრძალულია ალკოჰოლური ნივთიერების მიღება ან/და მათი ზემოქმედების ქვეშ ყოფნა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ალკოჰოლოს მიღება ხდება უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ ორგანიზებულ წვეულებაზე.

(2) უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში ალკოჰოლური ნივთიერების მიღება ან/და მათი ზემოქმედების ქვეშ ყოფნა, იწვევს დამრღვევის დაჯარიმებას 50 ლარის ოდენობით.

(3) უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში ალკოჰოლური ნივთიერების მიღება ან/და მათი ზემოქმედების ქვეშ ყოფნა განმეორებით, იწვევს დამრღვევის დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით.

§7. უნივერსიტეტის ადმინისტრაციული შენობის დანაგვიანება

(1) უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ შენობის დანაგვიანებად მიიჩნევა ნაგვის დაყრა სპეციალური სანაგვე ყუთის გარეთ ან რაიმე ნივთიერების ზემოქმედებით საგანზე წარწერის ან/და სხვა სახის მონიშვნის გაკეთება.

(2) უნივერსიტეტის ადმინისტრაციული შენობის დანაგვიანება, იწვევს დამრღვევის დაჯარიმებას 50 ლარის ოდენობით და დამრღვევს დაეკისრება მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

(3) უნივერსიტეტის ადმინისტრაციული შენობის დანაგვიანება განმეორებით, იწვევს დამრღვევის დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით და დამრღვევს დაეკისრება მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

§ 8. დამრღვევის გამოვლენა

(1) დისციპლინური პასუხიმგებლობის ნორმების დამრღვევი პირის გამოვლენა მიეკუთვნება უნივერსიტეტის დაცვის სამსახურის კომპეტენციას.

(2) უნივერსიტეტის დაცვის სამსახური გამოვლენილ დარღვევაზე, დამრღვევისა და შესაბამისი აკრძალული ქმედების ჩადენის დასახელებით, წერილობით ინფორმაციას წარუდგენს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს.

(3) უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი გადაცემული ინფორმაციის საფუძველზე გამოცემს ბრძანებას დამრღვევზე ფულადი ჯარიმის დაკისრების შესახებ.

§ 9. ჯარიმის გადახდის ვადა და წესი

დამრღვევი ვალდებულია გადაიხადოს დაკისრებული ჯარიმა უნივერსიტეტის ანგარიშზე ფულის შეტანით, ფულადი ჯარიმის დაკისრების შესახებ ბრძანების გაცნობიდან 10 კალენდარული დღის ვადაში. ამ ვადაში ჯარიმის ნებაყოფლობით გადაუხდელობა იწვევს შესაბამისი ღონიძიების გატარებას: ხელფასიდან თანხის დაკავება, სტუდენტის არდაშვება სასწავლო პროცესზე, ხოლო სხვა პირის შემთხვევაში – სასამართლო წესით თანხის გადახდევინება.

§ 10. გასაჩივრების უფლება

დამრღვევს უფლება აქვს უნივერსიტეტის გადაწყვეტილება ფულადი ჯარიმის დაკისრებაზე გაასაჩივროს სასამართლოში.

§ 11. ძალაში შევლა

დისციპლინური პასუხიმგებლობის ნორმები ძალაშია დამტკიცებისთანავე.